

ლიტერატურული მესხეთი

№2 (230)
თებერვალი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ჯავახეთი

ძველი საქართველოსი ჯაჭვი ათასწლეულთა რგოლი გაუტეხელი იყო უბრწყინვალესი, ზღვა რისხვა დანთხევია, მაინც არ დაძლეულა მიწა ჯავახეთისა, მიწა გამირთა მხარესი.

მთაში ტყე რომ გადაწვეს, ბარში ვაზი ხარობდა, მკლავები არ დაღლილა ციხე-კოშკის შენებით, გადაკარგეს – დაბრუნდა, დააჩოქეს – წამოდგა, მოდგმა მურჯახელების, მოდგმა ჯავახელების...

დაიღვენთა, დაიქცა ვარდის ციხის კედლები, მკერდით ფარეს მამულის გოჯიც ჯავახელებმა, წამოენთო ბარალეთს, პრტენას, ხანდოს სვეტები, ცაღ ატყორცნა კუმურდო საკოცარის ხელებმა...

ქვებმა შემოინახეს, მიწამ შემოინახა, მხარის ძველი დიდება გამოთლილი ინახად და გადარჩა საუფლო მთებისა და მდელისი, მენინავე სადროშო ძველი საქართველოსი.

არსენ კარაპეტიანი

იუბილე

თქვენნი წარმატებების მოზიარებელ გვიგულეთ!

ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარ რედაქტორს სანდრო პარიძეს

ჟურნალი „ჭოროხი“ სამოცი წლისა გამხდარა. სამოცი წელი, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისათვის, თითქმის მთელი სიცოცხლეა. „ჭოროხიც“ ხომ ადამიანივითაა, ჭეშმარიტად მეტყველი, მოაზროვნე და ფართო საზოგადოებისათვის ათასი აზრის, სიბრძნის, გამზიარებელი.

რომ არა ქართული სიტყვის სიდიადე, რომ არა ქართული სიბრძნე, განა რა იქნებოდა ქართული ენა, ქართველი ერი?! სწორედ ქართული სიტყვის დიდი მებაირახტრეა ჩვენი იუბილარი ჟურნალი, მენაპირე საქართველოში, იქ, სადაც ყველაზე მეტად ჭირდება საქართველოს სულის მეოხთა მხარდაჭერა. ჟურნალი „ჭოროხი“, თავისი ზნეკეთილი, უშურველი, ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით ეჭიდება ამ ფრიად უმნიშვნელოვანეს საქმეს – ქართული სიტყვის გადარჩენას აჭარაში.

დაიხ, დღეს ყველაზე მეტად ქართულ სიტყვას უჭირს ათასი ჯურის არსებობა გარემოცვაში მყოფ საქართველოს, მავანთა ნახალისებით ასე უტიფრად თავზე რომ წამოგვასკუბდნენ ეგრერიგად მომრავლებული ვაი მწერლები და მათი წახალისებელი უი „მეცენატები“. რაოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახლა თქვენნაირ გამოცემათა არსებობა, ჩვენო „ჭოროხელებო“, ჩვენი სულის ინჟინრებო!

თქვენ, ქართულ პერიოდულ გამოცემებს შორის, მართლაც თავდაუზოგავად, უდიდესი შემართებით, იბრძვით ჭეშმარიტი ქართული მწერლობის გადარჩენისათვის და უდიდესი სულიერი საზრდოთი კვებავთ არამარტო რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს მოაზროვნე საზოგადოებას, რაც გამარჯვების ტოლფასია!

გულითადად გვიხარია, ჩვენო ერთგული მეგობარო, ჩვენო სანდრო, თქვენი და ჩვენი საყვარელი ჟურნალის 60 წლის იუბილე.

გლოცავთ, გვეიმედებით და გვჯერა, კიდევ მრავალ და მრავალ საიუბილეო თარიღებს აღნიშნავს საქართველოს თვალმარგალიტი აჭარა და სრულიად საქართველო. როგორც მარადიულია მდინარე ჭოროხი, ასევე მარადიული იქნება ამ მდინარესავით მიქეფარე თქვენი სიტყვის ძალა ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილებო.

მუდამ თქვენს გვერდით და თქვენი წარმატებების მოზიარედ გვიგულეთ ან და მარადის!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით, აკოტანდილ პარიძე

ავთანდილ ივანიკა

სიხარულია ხანმოკლე, ხანგრძლივი მხოლოდ დარდია... სანთელი საკურთხეველთან იმედის შუქით ანთია.

სანთუთროვ, რაც არ მეკუთვნის, ხშირად იმასაც მიბედავ, არ ვარგა ასე ცხოვრება, - მხოლოდ იმედის იმედად.

დღეს დღე მიჰყვება, როგორც ზეცაში წეროს კვალდაკვალ მიჰყვება წერო. ბოლოს სიცოცხლეს სიკვდილი შეცვლის, რამდენიც უნდა ლექსები წერო.

უფლის შეწევნით იქაც სახლობენ - საიქიოში, ცუდად არას ველი, რადგან უფალთან მიმანახლოებს მარადიული სასუფეველი.

არ მკერა

თუ საწყისია სიცოცხლისა ან და მარადის სიყვარული და... რაღა ახლავს ხოლმე ლალატი?!

არა, ასეთი რამე მოხდეს ქვეყნად, არ მჯერა, - არ ენდობოდეს მარცხენა ხელს კაცის მარჯვენა:

მარცხენა ხელი რომ უსპობდეს პატრონს იმედებს და მარჯვენას კი შემოჰქონდეს გულში სიკეთე; იყო ღამე და ცაზე იყოს ნამგალა მთვარე, გულს სურდეს მისი ხილვა, მაგრამ არ სურდეს თვალბეჭდვა...

არა, ასეთი რამე მოხდეს ქვეყნად, არ მჯერა, - ცოცხლობდეს კაცი და სწყევლიდეს თავის გაჩენას. გულს თუ მოაკლდა სატრფოს გულის სითბო, არ მჯერა, რომ არ იბრძოლო სიყვარულის გადასარჩენად.

შეუცნობელი მოლოდინი ისე ტკბილია, რომ აუხდენელ ოცნებებში მინდა ვიტანჯო... და ასრულებულ ჩემს ოცნებებს, ათასს, მილიარდს, ეს მოლოდინის სატანჯველი მითხარ, რით არ სჯობს.

სოზა ალექსიანი

ჩემო სახლიკაცებო

(ხიზაბაჯრში გასაგზავნი ლექსი)

ადეიშვილების გვარი სადაც ნახვალთ, ადიდეთ, მეც მიგულეთ - ჩემი თავი თუკი სადმე დაგჭირდეთ.

მარტო არ დატოვოთ გული, ოცნებებში დაღალეთ, ხიზაბაჯრის სიყვარული სიკვდილამდე ატარეთ.

ადათ-წესებს ნულარ შეცვლით, წინაპრები გახსოვდეთ, ღირსეულად მოიქეცით, ერთმანეთს არ დაშორდეთ.

გაუსწორეთ წარსულს თვალი, არ დახედოთ ზევიდან, გაუფრთხილდით - დრო და ხანი არ გაუშვათ ხელიდან.

ვინმეს ცუდი არ იფიქროთ, გულში უნდა ჩახედოთ, ერთმანეთთან უნდა იყოთ, ვიდრე ხართ და არსებობთ.

ადეიშვილების გვარი სადაც ნახვალთ, ადიდეთ, მეც მიგულეთ - ჩემი თავი თუკი სადმე დაგჭირდეთ.


გაუმადლობამ ისე ნაბილნა, დაუმახინჯა მთა-ველს პროფილი... გთხოვთ, დამბრუნოთ ის დედამინა - გაურყვნელი და პირველყოფილი.

არაგველები

ვერ მოვასწარით და ვერ გავეცხით ბრძოლით, მამულზე მწველი ლოცვებით... ღმერთო, ერთხელაც წამოგვახედე, - ჩვენ ერთხელ კიდევ დავიხოცებით, რომ საქართველოს აღარ ენახოს მომხდურისაგან ტანჯვა, წამება, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ერთხელ სიკვდილი გვეცოტავება!

რხევა

ცხევა, ქალაქს ადგას ნათელი, გვედრი, მიპასუხე ძმურად - ამ მზემ თეთრფრთხილა ქართველი როგორ დაგამგვანა მულატს. გრძნობა მკლავს გულზე მოწოლილი, ამ ხვატშიც სიცოცხლე ზეობს, ანთია ქალი კოცონივით... ეს რა შეგძლება, მზეო!



ნან. მ. დავითაშვილი

ავთანდილ მებრელიშვილი

შენმა ღიმილმა დამათრო

(მომღერალ დებს - გოგოჭურებს)

შენმა ღიმილმა დამათრო, შენი თვალების ბრიალმა, რცხილის ცეცხლივით ამანთო არაგვმა და დარიალმა. გმირივით გამაამაყა - შავი არაგვის ღრიალმა. ხევსურეთო და თუმეთო, ულამაზესო მხარეო, ხალიჩებივით ნახატნო გულ-სული გამიხარეო. შენი ვაზრდილის უარით ცრემლები ჩუმად ვღვარეო, თვალებზე არ შევიმჩნიე, სულ გულში ვაღვარდვარეო. ტარიელივით მატირე, რარიგად არ დამლალო. შენმა ღიმილმა დამათრო, შენი თვალების ბრიალმა, რცხილის ცეცხლივით ამანთო მზექალამ და დარიალმა. გმირივით გამაამაყა, შავი არაგვის ღრიალმა.

თქვა საქართველომ

ევროპა ვარ თუ აზია, - ხომ ვარ ქალივით ღამაზი? გინახავთ ჩემი ვარძია? გინახავთ ჩემი არმაზი?! გინახავთ ჩემი ასპინძა, გმირი ქალაქი მამულის? ბრძოლებით სახელგანთქმული, სიკეთით საგსე, მამური?! გინახავთ ჩემი კახეთი, სამეგრელო და გურია?

პოეტი

ზიხარ მუდამ ოცნებების ქიმზე და არ ფიქრობ მეოცნების ბედზე. ქალი სოფლის ორღობედან გიმზერს, მენ კი... ცაში, ვარსკვლავებთან ეძებ.

კაცი აგერ დახრუკულა მზეზე, დაუნვია წუთისოფლის ღაღარს, მენ კი... მასში სულ სხვა ფერებს ეძებ და მზეჭაბუკს ცის კვარცხლობებზე ხატავ.

აგერ, მამულს დასდგომია რა დღე, ლუკმა-ლუკმა შეგვიჭამეს იგი... ფიქრს, ოცნებებს ავლებს დარდის სარტყელს, საშველს ეძებ თუნდაც ცხრა მთის იქით.

წილხვედრია ღვთისმშობლის და უფლის საქართველო, და ყოველთვის გვჯერა - გაეხსნება ცის ნათელი მუქი და ღვთის ნებით იგი გადარჩება.

ზიხარ მუდამ ოცნებების ქიმზე, იშველიებ შეუცნობელ გუმანს და იმდღერებ სათქმელს, - ლექსით ივსებ, ლექსები კი... არასოდეს სდუმან.

უსმინე მშობნოს

სიმშვიდე არის ადამიანის ქცევის და ხიბლის დამამშვენიელები, ნაცვლად ნგრევის და ნაცვლად ზიანის, - მამულს სჭირდება ხელი მშენებლის.

დასაბამიდან კაცობრიობას ქმნა სიკეთისა ლოცვად უცვნიად; ვაი მას, ვისაც განსაცდელის ჟამს მოძმის გატანა არ შეუძლია.

უსმინე მშობელს, უსმინე ბაბუს, კვლავ ბევრს ისწავლი მათგან, ყმანვილო! ისე არ უნდა მოექცე მამულს, ავის მსურველი რომ გააცინო.

სიბრძნე ძვეს ხშირად კაცის დუმილში, არ გახდეს ავი სიტყვის საკბილო, - რომ შენს მოკეთეს და მამულიშვილს ქვა ესროლო და დედა ავინო.

მკერდით დაიცავ, რომ არ გათელონ, აგურს აგურზე დადებ და როცა კვლავ აღაშენებ შენს საქართველოს - ბრძენი ხალხი და ღმერთი დაგლოცავს.

აფხაზებო, ძმებო!

არასოდეს არ ვყოფილვართ ერთმანეთის მტრები; რაც დრო გადის უფრო ვნაღვლობ, უფრო მენატრებით. ვინც მეგობრებს შორის ჩადგა, გააღვივა შუღლი - მას ვამტყუნებ, თქვენთან მოსვლა მინდა მოყრა მუხლის; ჩვენ ძმობა გვაქვს ძველისძველი, გვაქვს იმედი ხვალის; მას ვერ ვიმობოთ, ვინც გვიმუხთლა და მოგვეტეხა მხარი... მე სოხუმი მენატრება, საუბარი - ტკბილი, თქვენც ისხნებთ, მჯერა, ძველ დროს და ნატრულობთ თბილისს. სამხრეთ ოსეთს (სამაჩაბლოს) იგივე დარდი აწევს, და ცრემლს მოგვრის, ვინც იხილავს იქაც ამ ჩემს ნაწერს. ჩვენ ერთნი ვართ, ერთი ჯიშის, რას გაგვიგებს იგი - ვისაც სხვა აქვს ხასიათი კავკასიონს იქით. აეცლება ჩვენს მთა - ველებს ნისლი, დღეს რომ წვება... რა არ ხდება ძმებს შორის და კვლავ რჩებიან ძმებად!

დიდ ქვეყანასთან სილაღის სურვილი ჩვენ არ გავგივა... მხარი მხარს მივცეთ, გველემშაპს ვიდრე არ შეგუქამივართ!

ზაზა ქინქლაძე

მ ე ს ხ უ რ ი

მე მიყვარს ლექსი მესხისა, შოთასეული ემზისა, ვარძიის წყაროს ჩურჩული, ჩქამი თამარის ფეხისა, ახალციხური ტიკევა სისხლისმქვეველი ხმლებისა, ჭირთმენა შალვასეული, დუშმანთან წარბს არ შეხრისა; გულს მიკლავს ათაბაგური განდგომა, ძმთა შერისხვა, სევდა დახანძრულ ციხისა, დარანისა და ეხისა, ერთიანობის დარღვევა, თავზე დაცემა მეხისა; მე მიყვარს დედაბოძები დაჩუქურთმებულ ძველ ხისა, ხანძთის, იშხანის, ხახულის ზართა რეკვა და ძელის ხმა, მტკერის ლურჯა, თორის არწივი, ხერთვისზე ბუდე მერცხლისა, ხან სიოს აკისკისება, ხანაც ღმუილი თერხვისა; მე მიყვარს ხიხვი მესხური, მისი ზედაშე მესმისა, ქვის, დევა სანახელები, ტიკევი მუხა-ვერხვისა, ძველ ტერასებზე რუდუნი მებლისა და მეხრისა, ხანდისხან შემოფეთება გადაკარგული ვეფხისა, მე ფინტი მიყვარს მესხისა და დღემდე თავბრუ მესხმისა; არამცთუ საფლავებიდან და ტაძრებიდან მესმის ხმა, ფიცარიც მეჩურჩულება ხანძთელის ძველი მერხისა: „ჟამი მოგველის, ხამს ერმა ფრთები კვლავაც აქ შეისხას - აღდგეს მეფობა ივერთა! დიდება ღვთის და ერის ხმას!“

პასტანა გურბენიძე

მოხდა ისე, რომ ჩემი მეგობარი ავად შეიქმნა. სამკურნალოდ საქართველოს გარეთ გავაგზავნე. ველოდით მისი მდგომარეობის მაუწყებელ წერილს, მაგრამ არ ჩანდა. ზუსტად ერთი თვის შემდეგ მომდის ამანათი. გავხსენი და რას ვხედავ, — წიგნთან ერთად 15 ფურცლის ორივე გვერდზე ნაწერი უსტარია! გამეხარდა. დავიწყე კითხვა და... არც ერთი სიტყვა მისი ჯანმრთელობის შესახებ. იგი მწერდა: „თავი დამავინცა აქაურმა ექიმმა თავისი „მეცნიერული“ დასკვნებით თანამედროვეობის მტკიცებულ საკითხებზე... მე მას ვერაფერი გავაგებინე. მიკვირს, როგორ შეიძლება არსებობდნენ ასეთი ადამიანები! გიგზავნი მის „აზრებს“ და, იქნებ, შენებურად მოსწონო პასუხი. მისი სახელია ივანე, მამის სახელი ნიკოლოზი. იხსენი შენი მეგობარი! ამაზე გაჭირვებულს ვერ მნახავ“...

მეტი რა გზა მქონდა, გავეცანი ექიმის „აზრებს“, მოვამზადე წერილი და გავუგზავნე ჩემს მეგობარს, ივანე ნიკოლაევიჩს გადასაცემად. უცნობ ადრესატს, მოკითხვის შემდეგ, ვუზიარებდი ჩემს შეხედულებებს „თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე“, როგორც ის უწოდებდა:

პატივცემულო ივანე ნიკოლაევიჩ!

გამოგიტყდებით, შენმა წერილმა მეტად დამაფიქრა. სასაცილოდ მეჩვენება ახირებული მტკიცება შენი წარმოშობის, სისხლისა და ფერის უპირატესობის შესახებ! რატომ გავიწყდება, რომ შენ, ისე როგორც ყველა ადამიანი, წარმოიშვი მილიონი წლის წინათ ერთი წინაპრისაგან. ნუ ვახსენებთ ჩვენი ცოდვით სავსე მაიმუნს. განსაკუთრებულმა გეოგრაფიულმა გარემომ და ბუნებამ, ამას, თქვენთანაც და ჩვენთანაც, დაწყებით კლასებში ასწავლიან, ჩვენს წინაპართა სხეულის აგებულებასა და იერსახეობაში თავისებური კორექტურა შეიტანა — ადამიანთა ერთი წინაპრის კანმა შავი ფერი მიიღო, მეორემ — ყვითელი, მესამემ — თეთრი. ასეთივე ცვლილებები ინტელექტუალურა ვუყუთ, რომ დიდი ხნის წინათ, ჩვენი უძველესი წინაპრნი საცხოვრებლად დედამიწის სხვადასხვა ზონაში მოხვდნენ და... შეგებუნე, შეიყვარეს, შეისისხლბორცეს კიდევ ეს მიწა-წყალი.

მაშ, ვინ მოგვცა უფლება, ჩემო ძვირფასო მეგობარო, შენი თავი ძვირფასად „მალაღი“ რასის წარმომადგენლად. ან, ვინ მოგვცა უფლება „მორჩილებაში“ იყოლიოთ რომელიმე სხვა ფერის ხალხი, ანდა სურვილი გქონდეს ასეთი მოქმედებისათვის?!

შენ მედიდურობ კიდევ საკუთარი ქვეყნის, ერის დამსახურებაზე, მის ღვაწლზე: „რომ შენმა მშობლიურმა ხალხმა დიდი როლი შეასრულა საერთო-საკაცობრიო პროგრესში! უნიკალური წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რომ ამის შესახებ ლაპარაკობს მტერიც და მოყვარეცო. შენ ახსენებ სხვა ხალხებს, მათ შორის ჩემს ერსაც და ამბობ: — ისინი „უცნობი არიან“ კულტურის ისტორიაში... მაგრამ შენ, თურმე, გქონია შესაძლებლობა ყოფილიყავი ჩვენთან და გაცნობოდი ჩვენს ცხოვრებას. განა ჩვენ შენზე ნაკლებად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, დედა, ხალხი, მისი „პატარა“ ისტორია, მისი კულტურა... ხალხი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო...“ გავიწყდება, რომ ჩვენ შორეულ წინაპარს, სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, აუცილებლობამ — არსებულმა პირობებმა — „უკარნახა“, თავისებურად ამოელო ხმა, შევლა ეთხოვა ღმერთებისათვის, მეზობლებისათვის, მეგობრებისათვის, გაეგებებინა თავისი ნუხილი და სიხარული, გამოეხატა თავისი გრძობები.

ამიტომ ვამბობთ, რომ ყოველი ადამიანი იმ გარემოს შეიღია, რომელშიც წარმოიშვა და ცხოვრობს... ასე წარმოიშვნენ ცალკეული, ე.წ. ეროვნული ენები, — მეტყველების

სხვადასხვა ფორმები, სხვადასხვა სახეობანი...

უადგილოდ არ მიმჩნია, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენი „პატარა“ ენის დიდ პედაგოგს დედაენა წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ერის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დატულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრალისა, ნაგრძობისა და ნამოქმედარისა, რომ მისი შესწავლა, ამ საღაროს დაუფლება, პიროვნებას აკავშირებს ერის სულთან და გულ-

ვიყენებთ კულტურულ ტრადიციებს. ამის შესახებაც მოგახსენებ ჩემს თვალსაზრისს: ამას წინათ, ჩემმა ერთმა მეგობარმა, ალფრთოვანებით გამომიწოდა წიგნი-ალბომი ჩემი სამშობლოს შესახებ და მითხრა: — თუ ძმა ხარ, დახედე ამ გვერდს! ეზოში ქვევრისთვის თავი მოუხდია და კოპეთი ხელში (კოპე ღვინის ამისაღებად მსხლის მსგავსი გოგრისაგან გაკეთებულ ჭურჭელს ვეძახით), სამფეხზე ჩამომჯდარი, თვალეში შეჰყურებს კეთილ მეზობელს, რომელსაც ღვი-

მებს, რომლებიც სიყვარულისა და ურთიერთ პატივისცემის გრძობით აკავშირებს და მომავალშიც დააკავშირებს ყველა ქვეყნისა და ხალხთა ახალ-ახალ თაობებს.

კარგად მოგახსენებ, ჩემო შორეული მეგობარო, რომ, როგორც დასაწყისში მოგახსენე, არა მარტო ადამიანი, არამედ დედამიწაზე ყოველი არსება შეგუებულია სამყაროს იმ მონაკვეთს, სადაც იგი გაჩნდა, ცხოვრობს და, ბუნებრივია, არ არსებობს უფრო ძვირფასი ადგილი მისთვის... ადამიანი ამ ადგილს

ბოლოს და ბოლოს, ადამიანები არ უნდა დემსგავსონ მანქანის ცოცხალ დანამატს... ადამიანებმა კვლავინდებურად უნდა იცინონ, იტირონ, იცეკონ, იმღერონ, ითამაშონ...

ძვირფასო ივანე! ამას წინათ ჩემი ერთ-ერთი გარდაცვლილი მეგობრის მეუღლემ მომიტანა თავისი ქმრის არქივიდან ე.წ. ლიტერატურული „ესკიზები“! მას თავის სიცოცხლეში არასოდეს არაფერი დაუბეჭდია, — გადავთვალე. მეტად საინტერესო მასალა აღმოჩნდა. ისინი, თავისი შინაარსით, ჩვენი დღევანდელი წერილის თემასაც ეხმაურება.

გიგზავნი ზოგიერთ ამონარიდს:

„— დღეს ეროვნული „სულის“ შენარჩუნება მთავარი პრობლემა მთელ სამყაროში... მე-20 საუკუნის დედამიწის მრავალ მხარეში დულს და გადმოდის რასისტული ვულკანის ტრაგიკული ლავა და კაცობრიობას, განსაკუთრებით პატარა ერებს წალექვა-გადაბუგვით ემუქრება...“

— ილუპება მცენარეულობა, ილუპება ბუნება... რაც გადაგვრჩა, დავიცვათ, უპირველესად — ბუნება, ჩვენი დედა, ჩვენი მშობელი, ჩვენი მკურნალი და მაცოცხლებელ-მასაზრდოებელი...“

— უსამშობლო დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი ადამიანი, არც მოიძებნება ვინმე, რომელსაც ცხოვრება ისე დამთავრებინოს, რომ ერთი ცრემლი მაინც არ დაეღვაროს უნეტარესი და უსაყვარლესი საკუთარი მშობლიური მხარისათვის, გულისწყრომა არ გამოეთქვას მამულის ავად მახსენებლისათვის...“

მე, ჩემო ივანე, ღმერთი მნამს და ეს ღმერთი ჩემი სამშობლოა! დამეთანხმებით, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა იზრუნოს თავისი სამშობლოსათვის, თავისი ქვეყნისათვის. დიდი პირთველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის თქმისა არ იყოს — „რადგანაც კაცი გქვია, შეიღნი სოფლისა, უნდა კიდევ მიგდლიოთ მას, გვესმას სოფლისა“... სხვა მხრივ, ადამიანის სიცოცხლის გამართლებას აზრი არ ექნებოდა!

ყოველი ეპოქის მთავარი ამოცანა სწორედ ამაში მდგომარეობს, — ადამიანი უნდა მივიდეს იმ ადგილამდე, საიდანაც მას შეეძლება დაიწყოს თავისი მისიის შესრულება; რომ მისმა მოქმედებამ სიკეთე მოუტანოს საზოგადოებას, გააუმჯობესოს იგი. დიდი ჩეხი მოაზროველი კომენსკი რომ მოვიშველიოთ: „ადამიანი ყოველთვის პასუხისმგებლობას უნდა გრძობდეს სამყაროს წინაშე, რომ მან არა მარტო უნდა კიდევოს, არამედ გამოასწოროს სიკეთე ხალხის მიერ დაშვებული შეცდომები...“

— განა ამ მიზანს არ ისახავს, ჩემო ივანე, ჩვენი საუკუნის ყველა ქვეყნის ადამიანთა გამომავლები, მიტინგები, კრებები, გაფიცვები და სხვ., რომელთა მთავარი მოთხოვნა ადამიანის, საზოგადოებისა და ეროვნული უფლებების პასუხისმგებლობის დაშვებული შეცდომების გამოსწორება? განა დღევანდელი მსოფლიოს ხალხთა აღშოთების ექო ომების, შიმშილის, გაუნათლებლობის, დესპოტიზმის, შოფინიზმის და მრავალი სხვა „იზმის“ წინააღმდეგ, ამის მკაფიო დადასტურება არაა?!

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა ერის ხალხთა მეგობრული ურთიერთობანი წარმოადგენენ სიყვარულისა და სიკეთის იმ ნაკადულს, რომლებიც გარდაიქმნებიან ბოპოქარ მდინარეებად და, საჭიროების შემთხვევაში, კავენ ყოველგვარ იმას, რაც და ვინც ბოროტების სახით წინ აღუდგება ხალხთა მშვიდობიან ცხოვრებას — „კაცობრიობის სილაშხეს“.

იმედი მაქვს, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, გადახედვით თქვენს ახირებულ აზრებსაც პატარა ერებთან დამოკიდებულების საკითხებში და თქვენი — პაციენტთან, — პატარა ერის წარმოადგენელთან (ჩემ მეგობართან), დაამყარებთ „მშვიდობას“!

საქართველოს რესპუბლიკური არქივის ფონდი N303/567 (გაგრძელება იქნება)



თან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან. ასეთია შენთვის შენი, ხოლო ჩემთვის ჩემი სათავჯანებელი მშობლიური ენა.

ძვირფასო ივანე! შენ იმეორებ იმათ აზრს, ვინც დასცინოდა პატარა ერებს, მათ კულტურას, ენას და ეროვნულ თავისებურებებს, ისინი იმასაც გვიკითხებენ, რომ გამარჯვების დღიდანვე ეროვნული ენები სულ უფრო და უფრო შემოისახლვრებიან საშინაო მოხმარების სფეროში და ისეთივე ადგილს დაიჭიროს, როგორც უჭირავს რომელიმე ძველ საოჯახო ავეჯს, რომელსაც სათუთად ინახავენ, მაგრამ არავითარ პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ანიჭებენო. ეს, არც მეტი და არც ნაკლები, ბოდიშა! სამაგიეროდ, მოუხსინეთ, რას ამბობდა ერთი რუსი პედაგოგი: არ არსებობს უფრო აუტანელი ძალადობა, ვიდრე ის, როდესაც სურთ ხალხს წაართვან მის გარდასულ წინაპართა უამრავი თაობის მიერ შექმნილი მემკვიდრეობის ჩირაღდანი — დედაენა. ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო; ხალხის სულის შემოქმედი ძალით მასში აზრად, სურათად და ბგერად აისახება სამშობლოს ცა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები, მისი ჰავა, ველები, მთები და ხეობები, მისი ტყეები და მდინარეები, მისი ქარიშხლები და ჭექა-ქუხილიც კი... ენაში აირეკლება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორია. ხალხის თაობანი ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ თითოეული თაობის ცხოვრების შემდეგობი რჩება ენაში შთამომავალთა მემკვიდრეობად. დედაენის საგანძურში თაობები ერთმანეთზე ალაგვენ გულის ღრმა ძვრის ნაყოფს, ისტორიულ მოვლენათა, რწმენათა და შეხედულებათა ნაყოფს, განცდილი ჭირისა და ღვინის კვალს — მთელ თავის სულიერ ცხოვრებას.

განა შეიძლება ეროვნებაზე ვილაპარაკოთ მშობლიური ენის, ფსიქიკური წყობისა და ეთნოგენეზისის გარეშე? განა ეს, და მხოლოდ ეს, ფენომენები არ წარმოადგენენ სპეციფიკურს, რომელიც განასხვავებენ ერს სხვა ერისაგან? ჩემო ივანე! შენ ისიც გაინტერესებს, როგორ ვიცავთ და როგორ

ნით სავსე ჭიქა ხელში უჭირავს და მასპინძელს ულოცავს შრომის მაღლს... რა მშვენიერად მოჩანს მამა-პაპეული ყიდის კარ-მიდამო... როცა ასეთ სურათებს ვუყურებო, პირდაპირ ჟრუანტილი მომდის... რა ძალა აქვს ამ დალოცვილ მშობლიურ სოფელსო...

დიახ, ასე გვაჯადოებს მშობლიური ქვეყნის სურნელება, მისი საოცარი სილამაზე, მისი ეგზოტიკა. მაინც რა არის ის ძალა, რომელიც ასე მაგნიტივით გვიზიდავს ყველას?! იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ ეს ძალა, მამა-პაპისეული ტრადიციებისადმი მიზიდულობის მიზეზი, — უფრო რთული ასახსენდება, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება. ეს უხილავი ძალა, ჩვენი მტკიცე რწმენით, წინაპართა კულტურა! მათი ათასწლიანი შრომისა და ცხოვრების მატიანეა, რომელიც ერთნაირად გვიბლავს და გვაოცებს, ეს გლეხი კაცის შრომასა და ზნეობაზე აღმოცენებული უმდიდრესი შემოქმედებაა, რომელზედაც იფურჩქნება ყოველი თაობის კულტურა და სამშობლოსადმი სიყვარულის ჩაუქრბელი „სული“.

დღეისათვის, ჩემო ივანე, არავის გადაჭარბებულად არ უნდა მოეჩვენოს ურთიერთობის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გზებისა და ე.წ. არხების არსებობა ხალხთა დაახლოებისათვის (და არა ასომილაციისათვის), კულტურათა ურთიერთგამიდრებისა (და არა შერწყმისათვის) — როცა ყოველი ერთი იცავს და ანვითარებს თავის ისტორიულად ჩამოყალიბებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს და, ამავე დროს, მათ იყენებს სხვა ხალხებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობისათვის! რას დაემსგავსებოდა სამყარო ამის გარეშე?!

არც ის უნდა გვაგვიწყებოდეს, რომ ჩვენ წარსულიდან ყველაფერს როდი ვითვისებთ, პირიქით, — ვიღებთ მხოლოდ იმ მემკვიდრეობას და შემოქმედებას, რაც კარგია, ლამაზია, პროგრესულია, იმას, რაც ჰუმანურია და ეხმარება როგორც ერის, ისე მსოფლიო ხალხთა სულიერ მოთხოვნილებებს, — ჩვენი (ჩემი და შენი) მეგობრობისა და სიყვარულის სულისკვეთებით ვიტოვებთ მემკვიდრეობის იმ ფორ-



(დასაწყისი ნინა ნოშვილი)

ნარილი II

შოთა ნიშნინიძე თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ფაქტობრივად ეყრდნობა ქართულ წარმართულ პანთეონს. ამ კუთხით შექმნილ პოეტურ თხზულებებში ყველაზე უფრო მძაფრად გაცხადდა მარადიულობის განცდა, წარმავლის მარადიულობა ქცევა. ამ ტიპის ლექსებში გარდასული დროის ხმები და სახეები მარადისობას ეხმარებიან. ვფიქრობთ, აქ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ სრულყოფილ ბუნებრივად ნიშნინიძის პოეტური ნიჭი და იმის უნარი, რომ წარსული ანეკდოტად გამოიყენოს. მას საუცხოოდ შეუძლია იყოს წარსულთან მჭიდრო კავშირში მხატვრული თვალსაზრისით, თუმცა ასევე ძალუძს მთლიანად არ მოეცეს წარსულის ტყვეობაში. აქ შემოქმედის მიზანი ნათელია – წარსული ჩაიყვანოს თანამედროვეობის სამსახურში. შოთა ნიშნინიძის ლექსებს ქართული წარმართული პანთეონიდან შემოტანილი ნიუანსებმა თავისებური პოეტური ხიბლი და სილამაზე შესძინეს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პოეტი ეროვნული სულისკვეთებით განსაზღვრული (*ამ წერილის პირველ ნაწილში*; ს.გ.) ქართველ კაცს მუდამ ხართან აიგივებდა. ეს გაიგივება შემთხვევითი არ გახლავთ, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ძველ წარმართულ წარმოდგენებსა თუ თვით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. აქედან გამომდინარე, ხარის კულტის პრობლემა დიდი ხნის წინათ იყო ნამოჭრილი ქართველ კლასიკურ პოეზიაშიც და პროზაშიც. ცნობილია, რომ ხარის ღვთაებრივი წარმომავლობა აქვს, იგი ქართველთა ქრისტიანობამდე წარმართულ რელიგიაში ერთ-ერთი კერპიც იყო. ჩვენი უძველესი წინაპრები ხარს დიდ ზეიმებს უმართავდნენ და სერიოზულ მსხვერპლსაც სწორავდნენ, როგორც განსაკუთრებულ ღვთაებას. ხარის კულტმა ასევე დიდი გავლენა იქონია ქართულ ქრისტიანულ კულტურაზეც. წარმართთა შეხედულებით ხარის რქაზე ეწერა ადამიანთა შენახვა, ხოლო რქები, ამავდროულად, სიკეთის სიმბოლოსაც განასახიერებდა. ხარის სახე-სიმბოლომ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მწერლობაზე, არამედ მხატვრობაზეც. განსაკუთრებით კედლის მხატვრობაზე, რაც საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა, წარმართული რელიგიის შემდეგაც, სიკუ-

თისა და შრომის ნიშნად. ნათქვამის საილუსტრაციოდ პოპულარული ქართული ხალხური ზღაპრის „ნიქარას“ გახსენებაც კმარა, სადაც ხარის სიკეთის ამბავს წარმართობიდან უნდა ჰქონდეს სანყისი. რაც შეეხება შოთა ნიშნინიძის პოეზიას, აქ ხარის პრობლემა მართალია ძალიან უბრალოდ, მაგრამ ლამაზადაა გადაწყვეტილი, მაგალითად, ლექსი – „ქართული ზღაპარი“, ამის დასტურია. ლექსში ჩვენ წინ იხატება ზღაპრული სამყარო, სადაც თავს იყრიან კარგად ნაცნობი გმირები. შოთა ნიშნინიძე მხატვრული ოსტატობით აღვინერს თავის სიყმანვილეს, ბუნების საოცარ პეიზაჟს. „ქართულ ზღაპარში“ ვკითხულობთ:

„ვიღაც ქალი ბოლოს სხებდა და ვაზს უზავრებდა ჭივოს, მე მეგონა გლეხის ქალი, თურმე ღვთისმშობელი იყო... ვიღაც მუზღზე ხარს კოცნიდა და მთესვარად ხნულს მისდევდა, თურმე ქრისტე-ღმერთი იყო, მე მეგონა გუთნისდედა. იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი,

თუკი ატარე ნაშუის ქუდად, არ გაგიკვირდეს არცერთი მარცხი, წარმატება კი, ვიკვირდეს მუდამ. და თუ ცხოვრება მართლაც ომია, და თუ იღბალი ვარს კვლავს ჰგავს ცდომილს, შემოქმედება ასჯერ ომია, ყველაზე დიდი და მძიმე ომი.“

მის პოეტურ მემკვიდრეობაში მრავალი ისეთი საგულისხმო ლექსი გამოირჩევა, რომელიც მკითხველს უთუოდ მოხიბლავს თავისი შთამაგონებელი ძალით, მხატვრული აზროვნებითა და პოეტური მიგნებით. მაგალითად, ლექსი „ვეფხვი“, ამის კლასიკური ნიმუშია, იგი უხედადა გაჯერებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით და სასიამოვნო საკითხავია. ლექსში, პირველ რიგში, შესამჩნევია სიკვდილთან მებრძოლი ვეფხვის სახე-ხასიათი, რომელსაც სიცოცხლისადმი დაუშრეტელი ნყურვილი ამოძრავებს:

„ნუთუ არ გქონდა სურვილი შეყრის, საით გაგვიბრის მზერა ეღამად, შენ ხომ არა ხარ ნეტა ის ვეფხვი,

ღვთის გამო სრულიად მოვიყვანო; ს.გ.): „ველური მზერით გიყვარს თამაში, ჩემს წინ ამაყად, ნებივრად დგომა, ძლივს დატეულხართ ვინრო კაბაში შენ, გაზაფხული და შემოდგომა. ვახსნალი ფერთი, მდიდარი ტანით, მოხეთილი ხარ, როგორც ჩანჩქერი ჩემს წასაღებად და გასატანად და არსადან არ ჩანს საშველი. შენა ხარ ჩემი თავდავინებება და მზიან გულზე დარდად მოწოლა, ჩემი საცერა თვალებით გაგცერი, აგამრიალბ ველურ კოცონად... შემოგადნება სხეულზე კაბა, როგორც გულაბ მსხალს სიმწიფის კანი და ოცნებაში თრთის ვარდის ქაფად შენი ღვთიერი, რძის ფერი ტანი. მოდი, იხუფლე, ნაპირს გადმოდი, თავდავინებებს რახან მპირდები, მე ცარიელი ვარ კალაპოტი, და ამოვასე შენი ზვირთებით.“

სიყვარული მარადიულია და ყოველსომცვე-

„შემოქმედება“

ხათის არ მიტყვევდა ისიც...
თურმე ამირანი იყო,
ძმა ბადრის და უსულისი...
პოეტური ხედვით და მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო ლექსია „ელიასა მელიასა“, რომელიც ავტორის თანამედროვეობას ეხმარება, გვიჩვენებს მის ავტორს. ლირიკული გმირი თავად შოთა ნიშნინიძეა, ვინც, ამავე დროს, საზოგადოების ერთი წევრიცაა და სიტყვას „ჩვენში“ რომ ახსენებს, ბუნებრივია, საკუთარ თავსაც გულისხმობს. ლექსში იკვეთება პოეტის ურთიერთობა საზოგადოებასთან, მისი მთლიანობა ხალხთან, რაც სავეტებით ბუნებრივია, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მის მთლიან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მეორე მხარეც ჩნდება, – ესაა შემოქმედის ე.წ. პიროვნული „მე“. თუ დავაკვირდებით ნიშნინიძის ლექსებს, ვნახავთ, რომ მისთვის უფრო მისაღებია უთიერთობა საკუთარ ხალხთან, რადგან პოეტი ხალხისთვის არსებობს, ისწრაფვის საზოგადოების კეთილდღეობისათვის. იგი მიზანს უსახავს როგორც საკუთარ თავს, ისე საზოგადოებას, თუმცა, ნიშნინიძე მიიჩნევს, რომ პოეტი სიკეთის, მამულიშვილობის პირველი მაგალითის მარჯვენა ბედი უნდა იყოს, პირველმა უნდა აღასრულოს ის, რასაც სხვები მოუწოდებს.

*მოყმე რომ დასცა პირტიტველაში...
... აღტაცება და შიში ამიტანს,
სტრიქონები მიჯრილ ზოლების
და მოთახთახე შენი ტანიდან
დგება აზიის სიციხე ზმორებით.“*

სიცოცხლის დაუღვეველი, ამოუწურავი განცდა გარდა „ვეფხვისა“, საგრძნობია ლექსში – „ქართული პაზარი“, სადაც კიდევ ერთხელ მძაფრად ჩანს პოეტური აზროვნება. ლექსში ერთმანეთს საოცრად შეხამებია სიცოცხლის, მზის, შემოდგომის ფერები, თითქოს მცირე პოეტური სურათები ერთიანდება ბუნების დიდ, მთლიან ჰარმონიად. ზოგადად, ბუნება შოთა ნიშნინიძის ლირიკაში ცოცხალ არსებასავითაა, რომელსაც ხელეწიფება შეგაყვაროს, მოგაწონოს თავი და მთელი ცხოველმყოფელობით გაგრძნობინოს თავისი სილამაზე. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ლექსი „ქარი“, სადაც ვკითხულობთ:

*„ეს ორი დღეა, მზის მოლოდინში
მთებს ნიკაძლა ფერები ქარის,
სახლის კობზე, სულ უზოდშიოდ
ბოშაქალივით ჩამოვდა ქარი.
ფერად ფოთლებში ურევდა ხელებს
უძინარი და გზებზე ნათრევი
და შემოდგომის ადრინდელ დღეებს
მარჩიელობდა ფოთლის კარტებით...“*

ლი, ის არა მარტო ადამიანებში, არამედ ბუნებაშიც იჩენს თავს, მაგალითად ლექსში „ორი ტირიფი“ ვკითხულობთ:

*„ატოტილი, ირიბი,
რატომ ტირის ტირიფი?
– მთელი წელიწადია
გაღმა გასვლა სწადია.
ასეთივე პატარა, ასეთივე ირიბი,
იქ, მეორე ნაპირზე,
ნუხს მეორე ტირიფი.“*

ლამაზ დედაშვილურ ურთიერთობაზე ეროვნულ ლიტერატურაში იმდენი თქმულა და დანერვილა, რომ ამაზე აღარ შეეჩერდებოდა ზედმეტად, თუნდაც „მოთარაბთ ქვრივის“ გახსენება კმარა. დედაშვილი უწმინდესი გრძნობაა, უხილავი ძაფები შვილსა და მშობელს შორის, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ უკეთური ადამიანები შეურაცხყოფენ მის ღვთაებრივ სიწმინდეს (აქ კი „თავსაფრინ დედაკაცს“ გავიხსენებთ) და ირღვევა უფლისაგან მონიჭებული ჰარმონია. ჩნდებიან და, სამწუხაროდ, მრავლდებიან თვალცრემლიანი ბავშვები, უსახლკარო და უდემამო პატარები, სევდანალეველი ალასება მათი მწუხარე სახეები, პატარა გულები ველარ იტევენ ამდენ დარდას და ვარამს... მიტოვებული, უდელიან ბავშვები ბავშვები მუდამ თვალცრემლიანი გაყურებენ გზას მშობლების მოლოდინში, რაც უაღრესად მწარე და მტკივნეულია, მიტოვებულ, მივიწყებულ ყმაწვილებს შოთა ნიშნინიძე სათბურში გაშლილ ყვავილებს ადარებს, რომლებსაც აკლიათ მანათობელი მზის ცხოველმყოფელი სხივები. მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება ისეთი ლექსის მიმართ, რომელსაც „უპატრონოთა სახლში გაზრდილ გოგონას ვედრება ღვთისმშობლისადმი“ – ჰქვია. იგი ღრმად ემოციურ განცდას აღძრავს და დააფიქსირებს თითოეულ ჩვენგანს. მოგუწმინთო პოეტს:

*„ღვთისმშობელი დედაო, ჩივილს
შემოგებდეო,
ობლის მოდგმა-ვაგებას თუ შეისმენ ნეტაო?
ჩემი დედა სად არი, ანდა მამა სადაო,
ასე რად მომიძულეს, ეს ავეთ
ჩემთან სადაო.
ალბათ, სხვა ჰყავთ შვილები, კარგადაც
ჰყავთ ყველაო,
ნუთუ არ უნატრებათ, მათი ცუფრუმელო?
ერთმა ქალმა მიშვილა, სიზმრად
აგერ ვნახო,
შენი ჰქონდა თვალები, ღიმილი და სახეო.
არაფერი არ მინდა, ერთ რამეს ვთხოვ
თანაო:
დამასიზმრე დედეო,
მისი იაფანაო...“*

შოთა ნიშნინიძის შემოქმედებაში საგრძნობია პოლემიკური პათოსი, კრიტიკული დამოკიდებულება ნეგატიური მოვლენების მიმართ. მისი შეხედულებით, ჭეშმარიტი ეროვნული, მოქალაქეობრივი პოზიციაა, ამხილი ობიექტურად საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მანკიერება, გაბედულად ალუდვე წინ და დაესმარო იმავე საზოგადოებას ზნეობრივი სრულყოფილების რთულ საქმეში. ცხოვრებაში სწორად ვხედვით ხოლმე ადამიანის დაუმსახურებლად განდიდების თვითმხილველნი, ზარ-ზეიმით რომ უხდიან იუბილეებს და უხსნიან ვარსკვლავებს, თუმცა „სახეული საშოვნელად გამართული“ იუბილეები,

ბუნების ლამაზი განცდილობა დაწერილი ასეთი ლექსებიც: „სურათი“, „ორი ჩიტი“, სადაც ამეცხველებულია საგნები და მოვლენები. მაგალითად: შავ-ბნელი ღამე ყთიელი ელექტრო ნათურებით „შეჭოფილია“, ხოლო არხზე დამხობილი ბონდის ხიდი თითქოს ხარბად ვაგამს წყალს და მაინც ვერ „გამძღარა“. ლექსი „ორი ჩიტი“ სადაა, უბრალო, მაგრამ ყოველდღიურობის ლამაზი სურათია ხატონად წარმოჩენილი: გალიაში გამოკეტილი ფრინველი დანაღვლიანებულია, თავისუფლება-ნართმეული პირს არ აკარებს საჭმელს და გული ბუნების ნიაღისკენ მიუწევს. სამაგიეროდ, ტყიდან მოფრენილი ჩიტი ჩამოსკუპდება გალიასთან და მხოლოდ თვალებით კენკავს საკვებს, მაგრამ იგი თავისუფალია. როგორც ვხედავთ, ამ მცირე სიუჟეტში დევს რაღაც ცხოვრებისეული აზრი, იდეა – თავისუფლებისა.

შოთა ნიშნინიძისთვის, როგორც ლირიკოსი შემოქმედისთვის, ალბათ, ყველაზე დამახასიათებელი, მაინც, სატრფიალო ლექსების წერაა. სიყვარულის მხატვრულად წარმოსახვა ერთ-ერთი ძირითადი თემაა მის პოეზიაში. საგულისხმოა, რომ სიყვარულის ლამაზი განცდილი შექმნილი თხზულებები თავისი ოსტატური წარმოჩენებით არაფრით ჩამოუვარდება სხვა ლექსებს, თუნდაც ეროვნული განცდილი იყოს დაწერილი. ვფიქრობთ, ასე იმიტომ მოხდა, რომ ნიშნინიძემ სატრფიალო ლირიკაში შემოიტანა რაღაც ახლებური, ორიგინალური. სიყვარულის თემას პოეტმა ლექსების მთელი ციკლი უძღვნა, სადაც წერს, რომ სიყვარული მისთვის მრავალგვარია – იდუმალებით აღსავსე და, ზოგჯერ, განცხადებული, დაუმალავი, მოკრძალებული და ზოგჯერ კი – თავგანისცემადე ამაღლებული. სიყვარულზე წერა თანაბარი სიმძაფრით გაფრედა და ნიშნინიძის როგორც ჭაბუკობისდროინდელ, ისე ხანშიშესულობის დროს შექმნილ ლექსებში. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც, ჩვენი აზრით, სიყვარულის აპოლოგიაა, ავტორი თავის საოცნებო ქალს ლამაზი პოეტური აღმადგენით მიმართავს (ლექსს მაღალი მხატვრული ღირებუ-

„შემოქმედება თურმე ვგარცმბა,





დროს ძალიან მალე ნაცარ-ტუტად უქცევია. მაგალითად, ერთ-ერთ უხერხულად განდიდებულ ვაიოუბილარზე პოეტი მთელი პირდაპირობით ლექსში – „ოუბილარი“, შემდეგნაირად წერს:

„ტანად მომცროა თუ მაღალა, მჯდომარე კაცზე ვერავინ იტყვის, მერე კი აქვს, რაც მართალია, ოლიმპიურად შერაცხვს თითქმის... და როცა მარტო დარჩა ხილვებთან, მინებდა ღამის ცრუ მისტერიას, მწარე ღიმილით თავს ამხილებდა რომ არარა... მხოლოდ მტყვერია“.

„ოუბილარის“ ავტორის (ცხოვრებისეული კრედიტ – სიმართლე! მან იცის, რომ ადამიანებს სიმართლე სხვადასხვაგვარად ესმით: ზოგისთვის მახვილია, ზოგისთვის ბასრი იარაღია, ზოგისთვის მისაგერიებელი და თავდაცვითი ფარია, ხოლო ერთეულებისთვის ფარისველობის ნილაბიც კი გამხდარა. ნიშნინიძე დაუნდობლად აშხელს და კიცხავს „ნილაბიანი სიმართლის“ დამცველებს ისეთ საინტერესო ლექსებში, როგორებიცაა – „სიმართ-



მიულაშვილ მითათ, თამარ ჩიჯავაძესთან ერთად

თქმე შეგან ცმია

ლექსი, „ტაში“, „ემპა ჩივილი“, „ცირკში სიმართლეს ამბობს მასხარა“, „რა უცნაური ვინ ვართ“ და ა.შ. შეიძლება მკითხველმა მხატვრული თვალსაზრისით აქ ჩამოთვლილი ლექსები არ მოინოსოს, მაგრამ ეს არაა მთავარი, აქ საყურადღებოა მათი საერთო პათოსი, რომ „ქვეყნად ყოველი უსამართლობა, მანც სიმართლის სახელით ხდება“.

როდესაც მკითხველი ახლოს გაეცნობა ნიშ-

ნიანიძის პოეზიას, უთუოდ დარწმუნდება მის მაღალმატვრეულობაში. პოეტის ლექსები აღსავსეა უხეირო ლიტერატურული ხერხებით. მართლაც რომ დიდია, შთამბეჭდავია, პოეტის მხატვრულ-ლიტერატურული აზროვნება. მის შემოქმედებაში იშვიათად თუ შეხვდებით იძულებით, ხელოვნურად შექმნილ ფორმებს, გასაოცარია ის მხატვრული და პოეტური ხელნერა, ასე რომ ალამაზებს ნიშნინიძის შემოქმედებას. რაც არ უნდა ახალ ფორმას

მიაკვილოს მწერალმა, მაინც ხატვანად ნათქვამმა, პოეტურმა სიტყვამ უნდა დაამშვენოს და სრულყოფის მისი საბოლოო აზრი, ნებისმიერ თემამზე დაწერილი პოეტური თუ პროზაული თხზულება. ყოველივე ეს კარგად აქვს გააზრებული შოთა ნიშნინიძის და ამიტომაც ხასიათდება მისი პოეზია ლალი, მსუბუქი ფერებით, საოცარი ეფექტით, მხატვრული ნაირგვარობით. პოეტი მხატვრულ სრულყოფას სხვა ლიტერატურულ ხერხებთან ერ-

თად აღწევს მეტაფორების უხვი გამოყენებით. იგი, თავის ლექსებში, არაერთ ხერხს მიმართავს, თუმცა მეტაფორული სახეები უფრო მეტია, რაც პოეტის მაღალნიჭიერების მაჩვენებელია. მეტაფორა „ოუბილარის“ ავტორის ლექსებში თვითმიზნური როლია, იგი ყოველთვის მოხდენილად ზის ამა თუ იმ კონტექსტში. ტროპული მეტაფორების ეს გავრცელებული ხერხი პოეტს აინტერესებს ხოლმე არა მარტო ლექსის შინაგანი ბუნების გაძლიერებისთვის, არამედ მისი ვიზუალური ფორმის დასახვეწადაც. მისთვის ნიშანდობლივია ლამაზი, ხატვანი სიტყვა-თქმების გამოყენებაც, სხარტი გამოთქმების მოხმობაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ორიგინალური ხედვის პოეტთან, მეტაფორული აზროვნების ოსტატთან. აი რას წერს ლექსში „საგაზაფხულო“:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა, გადმოლახა ნისლი ხშირი, ტანზე კაბად ღამე ეცვა, მთვარის თეთრი გულსპირით. შემოფრინდა, შემოსხივდა, ზღაპრიდან თუ არაკიდან, ცისარტყელის მარჯვენა ღერტი გაჭრა კუდის მარჯვენა“.

მსგავსი ტაყების მოხმობა მრავალადაა შესაძლებელი, აქ მხოლოდ რადენიმეს გავიხსენებთ კიდევ:

„აქ ტირიფების თეთრი ფეხებით, აირილმა ბევრჯერ გადაიზინა“.

ან კიდევ:

„ბოსტანში ნიორ ნაგაზივით ქელავს ავგისტო, გადმოუგდია მზის ნითელი, თახთახა ენა...“

ბუნებრივია, ისეთ მასშტაბურ მემკვიდრეობაში, როგორც შოთა ნიშნინიძის პოეზიაა, პოეტური გამოხატულების მრავალფეროვნების დიდი ადგილი უკავია, რაც ჩვენი აზრით, ცალკე და ვრცლად სასაუბრო თემაა.

სოსო გიგოზვილი

ასმათის ხაც-სახის ინტერპრეტაციისათვის

«დასანყისი გვ. 6,7

ნესტან-დარეჯანის რიდი და კრძალვით იყო გამოწვეული: „სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა ჰკრძალავს ლაღი“. ასევე ასმათისადმი ტარიელის პატივისცემა მუდმივად იგრძნობა, ტარიელი ყოველთვის ცდილობს, რომ ასმათს თავყვანიცემის ნება არ მისცეს, ტარიელი ასმათს ტყბილს უწოდებს და მისი ნახვა ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრის, ყოველთვის უხარია.

ასმათის ერთგულება და თავდადება განსაკუთრებით მაშინ წარმოჩნდა, როდესაც მეფესთან თათბორზე ნესტან-დარეჯანის გათხოვება გადაწყდა და ამასთან დაკავშირებით ნესტან-დარეჯანი სამართლიანად გაურისხდა თავის მიჯნურს. ასმათის შუამდგომლობით ტარიელი კვლავ მივიდა ნესტანის სასახლეში, სადაც მიჯნურებმა ერთად გადაწყვიტეს სასიძოს მოკლა. აქაა ასმათის ხატსახე საგანგებოდ საინტერესო, რადგან თავმეკავებულ ტარიელს, რომელსაც უძიძმს ინდოეთში საქონლი მოსული ხვარაზმას შვილის მოკლა, ნამტარაღვემა ასმათმა შეხედრისას უსაყვედურა: „შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი? გაუნყვედლა ვით გამართლო? რაგვარადმცა გავცეცილდი?“ უმძიმესი განცდები დაეფულა ასმათს, როდესაც დაკარგა ნესტან-დარეჯანი ზღვით გადაკარგა და ტარიელისათვის ამ საშინელი ამბის მიტანა მიღდა მას ხვდა, რის გამოც სიკვდილს ნატრობდა და ტარიელს ევედრებოდა, მოკლა და ამ ტანჯვისაგან გაეთავისუფლებინა. უდაბნოში, გამოქვაბულში დამკვიდრებულ ტარიელს მხოლოდ ასმათი ახლავს, მხოლოდ ასმათია მისი გულშემატკივარი, ერთგული და, ბოლოს, შეიძლება ითქვას, პატრონი.

ასმათი ტარიელს ვეფხის ტყავის სამოსელსა და ქუდას უკერავს („ესე ქალი შემოიკერავს, ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს“), რაც მეტაფორულად გასააზრებელიცაა და სიმბოლურიც. ასმათი ხომ მოწმეა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სიყვარულისა, მეტიც, მათი ურთიერთობის წარმატებულ უდიდესი წვლილი მიუძღვის. ამიტომ ყველაზე უკეთ მან იცის, თუ რა გადაიტანეს მიჯნურებმა, როგორი ტანჯვით წარამართა მათი სიყვარული; იგი მოწმეა მათი საუბრებისა და განხილვისა. მან ძალიან კარგად იცის, უფრო ზუსტად, მასზე უკეთ არავინ იცის, თუ რატომ გადაიკარგნენ ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ინდოეთიდან. სწორედ ამგვარმა საქმეში ჩახედულობამ, მიჯნურთა მდგომარეობისა და ამბის ღრმად ცოდნამ ათქმევინა ასმათს სიტყვები, რომლებითაც ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე რთული ფსიქოლოგიური პროცესები წარმოიდგინება, ეს სიტყვები საუკეთესოდ წარმოაჩენს ტარიელის სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ხოლო თვით ასმათს ადამიანის თვისებათა იშვიათი სიღრმით მხილ-

ველ პერსონაჟად წარმოგვიჩვენს: გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰქიდიან: რა გული ნავა, იგიცა ნავლენ და მისკე მიდიან; უფულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან. შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლი წვიდიან.

ასმათმა, რომელიც პოემის პერსონაჟა შორის ავთანდილის მსგავსად შეიძლება მოყვასობის ნიშნულად დასახელდეს, ავთანდილს შეახსენა ადამიანური მოვალეობა სხვა ადამიანის წინაშე, როგორი მეგობრული თვისებებით წარმოჩენა ჰმართებს ადამიანს მეორე ადამიანის წინაშე; ამ ბრძნულ სიტყვებით იგი თავად იმ იშვიათი თვისებით დაჯილდოებულ პიროვნებად წარმოგვიდგა, რაც ადამიანის სრულყოფილებასა და სისრულეს მონიშნავს:

ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: „ვინ მოყვარესა არ ექებს, იგი თავისა მტერია“.

ამ მომენტში ასმათს აუცილებლობად მიჩნდა ავთანდილისათვის ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა და რის გამოც იმყოფებოდა ტარიელთან ერთად გამოქვაბულში. მხოლოდ მას შეეძლო ბოლომდე გაეყო ტარიელის გასაჭირი, რადგან იგი მოწმეა ყოველივე იმისა, რაც მიჯნურებს თავს გადაუბოძდა და რამაც გადაკარგა ისინი ინდოეთიდან. ამიტომაც არის ასმათი ტარიელის ცხოვრების შემფასებელიც გამოქვაბულში თანაცხოვრების პერიოდში და ამას ეუბნება კიდევ ავთანდილს, რომელიც მეორედ მივიდა გამოქვაბულში, ამჯერად უკვე ტარიელის დასამზარებლად.

ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბვად ჰსმენია: არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შემადრენია; დიჯლადაცა კმარს, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია.

ფაქტობრივად, ასმათის ეს სიტყვები იმის აღიარებაა, რომ ტარიელი დასჯილია, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს სასჯელი მეტისმეტად მკაცრია, „ქვათაცა შემადრენია“, ე. ი. ადამიანს („კაცთა“) კი არა, ქვასაც კი შეაძრუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასმათი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის შეცდომას აღიარებს. რომ არა ამ შეცდომის შეგრძნება და შეგნება, „დიჯლის“ მსგავსი ცრემლის მდინარეც არ დასჭირდებოდა ტარიელს, ხოლო, ქრისტიანული მოძღვრებით, ცრემლი განწმენდისათვისაა აუცილებელი, ცრემლის სიმბოლური მნიშვნელობა სინანულს, ცოდვათა განცდას, მიჯნურის დაკარგვით გამოწვეული ტარიელის მძაფრი განცდაა, რაც

თვით ტარიელს ალამაზებს და ამშვენებებს. ფაქტობრივად, ასმათმა ტარიელის სულიერი მდგომარეობა გადაუშალა ავთანდილს. განსაკუთრებული მხატვრული ფერებითა და სახისმეტყველებით გამოირჩევა ავთანდილის მიერ ქაჯეთის ციხიდან მიჯნურისათვის გამოგზავნილი ნესტან-დარეჯანის წერილის მოტანის შემდეგ ამ წერილის ხილვით გაკვირვებული ასმათის შოთა რუსთაველისეული წარდგენა მკითხველის წინაშე:

ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანანერობა, გაკვირდა, ზარმან აილო, ათროლოებს, ვითა ხელობა, ტერფით თხვამადის გაუხდა მას მეტი საკვირველობა; იტყვის: „რა ვნახე, რა მესმის? არსმცა ამისი მრთელობა?“

„ვეფხისტყალის“ პერსონაჟები, ცხადია, ასმათიც, ღმერთს სიკეთის გამარჯვებისათვის მადლს უძღვნიან და მისადმი ქებას აღავლენენ. ღმერთისადმი მიმართული ასმათის სიტყვები ღვთის ძალას, ადამიანთა მიმართ ღმერთის სიკეთით ქმედებას, ღმერთის მხეებრ სისასხეს გულისხმობს, როგორც ადამიანთა მომავალზე ზრუნვის გამოხატუება და შედეგს:

ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა, შენ ხარ სახევა ყოველთა, აღვავსებ მზეხერფენითა; გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არს-საქეხლო სმენითა! დიდება შენდა, არ მომკალ ამისთვის ცრემლთა დენითა!“

ასმათის ეს სიტყვები მისი მოფლხედვის მაუწყებელია, რაც იმის საბუთადაც გამოდგება, თუ როგორი განათლება აქვს მიღებული და როგორი შინაგანი ბუნებითაა დაჯილდოებული იგი ღვთისაგან. ესაა ლიტურგიული ცნობიერების მქონე ადამიანის ღმერთისადმი მიმართვა და მადლიერება იმ დიდი სიკეთისათვის, რაც ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოსვლით უნდა დასრულდეს.

მხატვრული სიძლიერით უაღრესად დატვირთული და გამორჩეულია ქაჯეთის ციხიდან გამოსვლილი ნესტან-დარეჯანისა და ასმათის მხეხედრა, რომელიც ფრიდონის სამეფოში შედგება; გახარებული ასმათი, „სახესე ლხინითა, ვის აღარ აჩნდა წყლულები“ და ნესტან-დარეჯანი ამ შეხედრაზე გულში ჩამწვედომ სინანულსა და სიფაქიზეს იჩენენ. ესაა ტრაგიკული განსაცდელის გადატანის შემდეგ სინარულით, ლხინით აღვსილ ადამიანთა მხეხედრა, სვიანად განსრულებული მხეხედრა, რაც „ვეფხისტყალის“ პერსონაჟთა ცხოვრებამ აქამდე უაღრესად გაიშვიათებული იყო:

ნესტან-დარეჯან მოქცდი, რომე ვერ გაჰსნის ცულეზი, ან გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულეზი... ..ნესტან-დარეჯან ეხვევის, პირსა აკოცებს პირითა; უბრძანა: „ჩემო, ვაგლახ მე, შენცა აგავსე ტრითა, ან ღმერთმან მოგვცა, წყალობა, ვცან, მისი არ-სიძიერითა; მე გულსა შენსა ეზობას, არ ვიცი, გარდვიხდ რითა!“

ასმათ ჰყადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ-დაზრულნი, ბოლოდ ასრე გააცხადანა გონებამან დაფარულნი: სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩს, ოდეს განხენ მხიარულნი.“

სჯობან ყოველთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი.

წოდარ ნათამე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყალის“ გმირები ერთდროულად არიან იდეალურნიცა და აბსოლუტურად რეალურნიც. ეს შეხედულება ასმათზეც ვრცელდება, რადგან იგი რეალური ადამიანია, რეალურად აფასებს ცხოვრებას, ცხოვრებისეულ სირთულეებს, გასაჭირს, რეალურად აღიქვამს სიცოცხლით აღჭრულ სინარულს; ამავე დროს, იგი იდეალურიცაა, რადგან მასში მოჭარბებულია სიკეთის ქმნის, სხვისი გასაჭირით ცხოვრების განცდებით მოცემული, რითაც შოთა რუსთაველის პოემის მთავარ პერსონაჟებს ემსგავსება.

ასმათი იშვიათი თვისებების მქონე ქალის უკვდავი სახეა, მისი მსგავსი პერსონაჟი მსოფლიო ლიტერატურისათვის უცხოა; დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურულ თხზულებებში გვხვდებიან ისეთი პერსონაჟები, რომლებიც თავიანთი სტატუსით ასმათს უსწორდებიან, მაგრამ მათი ზნეობრივი სახე სრულიად განსხვავებულია ასმათისაგან. ეს მის საკუთარ სახელშიცაა ასახული, რადგან ასმათის სახელი ბერძნული სიტყვის „αμα“ ანარექლი იკითხება, რაც შესხმას, ხოტბას გულისხმობს. ასმათისთვის პიროვნულ ინტერესებზე, პიროვნულ ცხოვრებაზე ძალიან მოყვასის ცხოვრება, მისი სულიერი მომავალი, ბედნიერება დას, მისთვის მთავარი სხვისთვის თავგანწირვაა, შეუძლია მოყვასს ყველაფერი ანაცვალოს, რისთვისაც უნდა არ იხვებს, არაფერს იმურებს და სხვისი სინარულით ხარობს. ყოველივე ამის საფუძველი კი ასმათის კაცთმოყვარეობაა, ღვთის მოიმედებობა, სასოება და სიყვარულია, რითაც ამქვეყნიური ცხოვრება ღრუბულს იძენს და რითაც ემზადება ადამიანი ზესთა-სოფლის მოსაპოვებლად.

ბონდო არველაძის ერთი ნაშრომის შესახებ

2017 წლის მიწურულს, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და მკვლევარმა ბონდო არველაძემ მკითხველს საზოგადოებას კიდევ ერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი მიანოდა: „აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ნიგნის „Разыскания по армянской архитектуре“ გამოცემის წინააღმდეგ „როგორ“ იბრძოდნენ სომეხი მეცნიერები“, სადაც ავტორმა გაცოცხლა XX საუკუნის 60-იანი წლების სამეცნიერო სწრაფი განვითარებული ერთი საინტერესო მოვლენა, – გამოამზებურად დიდი მეცნიერის გიორგი ჩუბინაშვილის მიერ თავისი ნაშრომის წინააღმდეგ გამოცემის ისტორიის შიდა სამზარეულო.

წინამდებარე პუბლიკაცია ავტორმა მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში დაცული მასალებით, რამდენადაც მას, სწორედ იმ პერიოდში, მოუწია მუშაობა ერევანში. ბატონი ბონდო არველაძე გადმოგვცემს იმ განწყობას, რომელიც ჰქონდა სომეხ ინტელიგენციას გ. ჩუბინაშვილის ნიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმას, რომ ნაშრომი 1966 წელს საგამომცემლო გეგმაში იყო შეტანილი, მაგრამ ერევანში მიიღეს „საჭირო ზომები“ – „დაფაცურდნენ“. პირველი რუბენ ზარიანი – ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი იყო, რომელმაც მოითხოვა, რომ გ. ჩუბინაშვილის ნაშრომი სარეცენზიოდ გადასცემოდა ერევანს.

მკ. არუთინიანმა – სომხეთის არქიტექტურის კავშირის თავმჯდომარემ – ქართველ მეცნიერს სომხეთის ხუროთმოძღვრების ისტორიის გაყვალბებაში დასდო ბრალი. დასა-

ხელებული ნაშრომის გამოცემის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ჯურნალ „სოვიტაკან არვესტ“-ის (საბჭოთა ხელოვნების) რედაქტორიც. ნაშრომის ერევანში სარეცენზიოდ გადაგზავნის მოთხოვნა დააყენა ცნობილმა არქეოლოგმა პროფ ბ.ნ. არაქელიანმა. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნერი-ლით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს. სომეხი მეცნიერების დაჟინებული მცდელობა იყო გიორგი ჩუბინაშვილის ნიგნის გეგმიდან ამოღება ან ერევანში სარეცენზიოდ გადაცემა. ნიგნის გამოცემასთან დაკავშირებით საკითხი შეისწავლა ცენტრალურმა კომიტეტმა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გ. ჩუბინაშვილის ნაშრომის განხილვა დაინიშნა თბილისში.

გ. ჩუბინაშვილის ნაშრომის განხილვა მოხდა თბილისში, 1966 წლის 27 მაისს, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში. სხდომა არ ესწრებოდნენ ოპონენტები – სომხური მხარე, რომელიც დაფინანსებით ითხოვდნენ ნიგნის აკრძალვას, რაც მათი დასაბუთებული მცდელობის შემთხვევაში მოხდებოდა.

ბატონ ბონდო არველაძეს დასახელებული აქვს სხდომის მონაწილეთა სრული წარმომადგენლობა: აკადემიკოსები: ა. სანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე, ვ. წერეთელი, ვ. ბერიძე. პროფესორები: ვარლამ დონდუა, ირაკლი ციციშვილი, პარმენ ზაქარაია, საქართველოს მეც. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრები, ხელოვნების ინსტიტუტის თანამშრო-

ლები. სხდომის თავმჯდომარე იყო აკად. ა. ბოჭორიშვილი.

ავტორმა, ამასთანავე, დეტალურად გადმოგვცა მათი გამოსვლები. უპირველესად კი ბატონ გიორგი ჩუბინაშვილის სიტყვა, რომელმაც თანმიმდევრულად და მეცნიერულად ახსნა ნაშრომის დაწერის მიზანი, აუცილებლობა და მნიშვნელობა: „ნაშრომის მიზანი: ცალკეული ძეგლების ან ძეგლთა ჯგუფების შეფასების მიზანით დეტალური და ილუსტრაციებით დოკუმენტური განხილვის შედეგად სომხური არქიტექტურის განვითარების ძირითად ხაზის დასახვა შუა საუკუნეების გარკვეული პერიოდის განმავლობაში“. განმარტა, რომ მეზობელი ქვეყნის ხუროთმოძღვრების შესწავლის აუცილებლობა გამოწვეული იყო ეროვნული (ქართული) ხელოვნების კვლევისათვის.

საინტერესო და დამაჯერებელი მოსაზრებები გამოთქვეს სხდომის სხვა მონაწილეებმაც, კერძოდ, აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ აღნიშნა, რომ გ. ჩუბინაშვილის დაინტერესება სომხური ხუროთმოძღვრებით სხვადასხვა ასპექტით იყო გამოწვეული: იგი იყო მონაწილე 1915-1916 წლებში ანისის სიძველეთა შემსწავლელი ექსპედიციისა. ასევე ქართული ხელოვნების გაშუქება XIX-XX სს. ევროპულ მეცნიერთა ნაშრომებში და ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხთა დამახინჯება, ქართული ხელოვნების გამიჯვნა სომხური და ბიზანტიურისაგან და ა.შ. ქართველმა მეცნიერებმა ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცეს... ნაშრომმა დაბეჭდვის უფლება მოიპოვა. კერძოდ, გამოცემლობა

„მეცნიერებამ“ 1967 წელს დაბეჭდა გიორგი ჩუბინაშვილის მონოგრაფია მრავალრიცხოვანი ილუსტრირებული ნახაზებითა და ფოტოებით. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ნაშრომის გამოცემამ, თავის დროზე, „საღვთად დააფიქრა და ააღელვა“ სომხური მხარე, რადგან ის იყო სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მათ მიერ ნამოჭრილ სადავო საკითხებს უტყუარ, მეცნიერულ პასუხს გასცემდა. ამასთანავე, ეს არის ნაშრომი, რომლითაც შეიძლება პასუხი გაცეს, ამ ბოლო პერიოდში, სომხური მხარის მიერ გამოცხადებულ პრეტენზიებს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

ბატონმა ბონდო არველაძემ თავის ნაშრომში, გარდა იმისა რომ დეტალურად გადმოცა ქართველი მეცნიერის ერთ-ერთი სერიოზული ნაშრომის გამოცემის ისტორია, იმავდროულად, „სომხური არქიტექტურის ნარკვევებში“ აჩვენა გიორგი ჩუბინაშვილის, როგორც ნამდვილი მეცნიერის, პრინციპულობა და შეუპოვრობა საკითხების დამუშავებისა და მისი წინააღმდეგობისა. მან წარმოაჩინა მისი წვლილი და დამსახურება როგორც ქართული, ისე სომხური არქიტექტურული ძეგლების გადათარღობის საქმეში და, არა ისე, როგორც პროფესორი ბ. არაქელიანი სწამებდა ცილს სომხური არქიტექტურის გაახალგაზრდავებაში.

ავტორი ნაშრომში, თავისი მოგონებების სახით, ხაზს უსვამს გიორგი ჩუბინაშვილის დიდ სიყვარულსა და ღრმა მონივნებას სომეხი ხალხი-

სა და არქიტექტურისადმი. საკვლევი საკითხი კი, მისთვის წვეული, აკადემიურად, უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით წარმოაჩინა. ბატონი ბონდო სამართლიანად შენიშნავს, რომ წინამდებარე პუბლიკაციის ორგანიზაციის მნიშვნელობა ჰქონდა: ისტორიული და მორალურ-შემეცნიერო მხარე, რადგან ის იყო სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მათ მიერ ნამოჭრილ სადავო საკითხებს უტყუარ, მეცნიერულ პასუხს გასცემდა. ამასთანავე, ეს არის ნაშრომი, რომლითაც შეიძლება პასუხი გაცეს, ამ ბოლო პერიოდში, სომხური მხარის მიერ გამოცხადებულ პრეტენზიებს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

ბატონმა ბონდო არველაძემ თავის ნაშრომში, გარდა იმისა რომ დეტალურად გადმოცა ქართველი მეცნიერის ერთ-ერთი სერიოზული ნაშრომის გამოცემის ისტორია, იმავდროულად, „სომხური არქიტექტურის ნარკვევებში“ აჩვენა გიორგი ჩუბინაშვილის, როგორც ნამდვილი მეცნიერის, პრინციპულობა და შეუპოვრობა საკითხების დამუშავებისა და მისი წინააღმდეგობისა. მან წარმოაჩინა მისი წვლილი და დამსახურება როგორც ქართული, ისე სომხური არქიტექტურული ძეგლების გადათარღობის საქმეში და, არა ისე, როგორც პროფესორი ბ. არაქელიანი სწამებდა ცილს სომხური არქიტექტურის გაახალგაზრდავებაში.

ავტორი ნაშრომში, თავისი მოგონებების სახით, ხაზს უსვამს გიორგი ჩუბინაშვილის დიდ სიყვარულსა და ღრმა მონივნებას სომეხი ხალხი-

წინამდებარე ნაშრომით ბატონმა ბონდო არველაძემ ერთგვარად პატივი მიაგო დიდი მეცნიერის – გიორგი ჩუბინაშვილის ნათელ სსოვნას. ამასთანავე, მომავალ თაობებს ერთხელ კიდევ შეახსენა ეს ღირსეული ქართველი მეცნიერი და მისი დამსახურება მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე.

ნათო ყრუაშვილი

ფოტოლორი

ჭუჭყვაა ჭუჭყი ბარეხსა

ლევენდა (გაბონილი თათრულ ენაზე. ტლანქათ, ძაან შიშოკლეპით, სოხისხან) მასზე, თუ როგორ ეპატიან 99 კაცის გავლელს 99-100 კაცის მოკვლით




ლა, წაიშალა ამ საშინელ, არ ნახულ, არ გაგონილ ბოროტება დანაშაულთან... ხედავს: კაცმა, რომელმაც ახადა დასაფლავებელი მიცვალებული, ამოიღო კუდიანი, ცხედრის გვამზე იქს სქესობრივ ქმედს... ხრწნის ცხედრის გვამს ამ უნახულ და გაუგონარ ქმედებით. სწვდა კაცს ყელში, ახრწობს, თან სასონარკვეთილი ბლავის: – რას სჩადი, შე უბედურო, ბილწო?!..

კაცს შეეშინდა. შეეხვეწა: – მაცა, ნუ მახრწობ, გაიმბობ მიზეზს და რაც გსურდეს, ის დამმართე. უამბო შემდეგი: – ეს მიცვალებული ქალია, სიცოცხლეში ძრიელ ლამაზი, მიმზიდველი და ეშხიანი, შვილი მდიდარი დედ-მამის. მე მიყვარდა გაგიჟებით, მსურდა მისი ცოლათ შერთვა... ვითხოვე ცოლათ. არ მომეცა, დამიწუნეს მე უბედური. სხვას მიათხოვეს. ვერ დავიფიცე, სულ მასზე ვფიქრობდი, აღმეგზნა სურვილი-ნდობა მისი სხეულის. უბედურათ ვგრძნობდი თავს. ვეცადე დამევიწყნა. ამქვეყნად ვერ შევძელი, მისი სხეულის დაუფლების ფინმა სიგიჟემდის მიმიყვანა. ამასაც ბედმა უშუხთლა, დასწულდა, მოკვდა. ვერ შევიკავე ფინი... მოველ აქ, აპა, ხედავ, დავიკმაყოფილე ცხედრის სხეულზე ჩემი ხობი, სქესობრივი ფინი...

ამ ბოროტების მოსმენით და ნახულის განცდით ისე გაბოროტდა, აღშფოთდა 99 კაცის მკვლელი, რომ დაკარგა სახრი, მცენება, თავისდა უნებლიეთ, დაავლო ქვას ხელი, დაჰკრა თავში ბოროტს. მოკლა... მით შუუსრულდა ასი მკვლელობა... თითქოს იგრძნო შვება... მიცვალებული ჩადო კუბოში, ჩაასვენა საფლავში, მიაყარა მიწა. ზიზნი დახედა თავის ახალ ბილწმსხვერპლს და, თითქოს დამშვიდებული, წავიდა თავის ბინაზე, იქ, სადაც დარგული აქვს გამხმარი არგანი. მოვიდა. გაჰკვირდა, განცვიფრდა ახალი ნახვით: – რას ხედავს ჩემი თვალები? ხომ არ შევიშალე? – მოიწინადა თვალები, დაშტერდა მის დარგულ არგანს. გადაირია ნამეტანი სიხარულით. მისი დარგული ჯოხი-არგანი, ამ მცირე ხანში, ფოთლებით შემოიხილა, ყვავილი მრავლათ გამოიღია. ამით აღფრთოვანებულმა, სიხარულის ცრემლის ფრქვევით, მუხლმოდრეკილმა ალაპყრო ხელი ზეცისაკენ, სასოებით შევედრა ღმერთს, მსოფლიოს შემომქმედ ზენა არსს, რომ მან შეისმინა მისი მონანიება, მიუტევა შეცოდებანი, აპატია, შეუნდო!..

გახარებული გაქენა მღვდელთაფართან, მძაფრი სირბილ-ქაქანით მივიდა, სწვდა ანაფო-



იყო ადამიანი, რომელსაც, დროთა განმავლობაში, ნებსით თუ უნებლიეთ, მოეკლა ოთხმოცდაცხრამეტი კაცი... მოხუცდა. სინდისმა ამხილა, ქვეყნას დაუცხრომლად განიცდიდა. ვერ მოუძებნა საშვალება, რომ მოინანიოს, გამოისყიდოს დანაშაული. რა ქნას? ვერ გარკვეულა... გაახსენდა: – მივალ მღვდელთაფართან, ვეტყვი აღსარებას. გევენდობი, ვთხოვ შენდობას, ცოდვების მოტევას, დავმშვიდდები... არ დაახანა. მივიდა მღვდელთაფართან. სთხოვა: – მსურს ვთქვა აღსარება, გაგენდო, ცოდვები მოვიწანიო. დანაშაულებათა შენდობა-მოტევა მივიღო.

მღვდელთაფარმა მოუწონა სურვილი-ნადილი უცნობ მოხუცს. შეიყვანა სამლოცველოში. მოხუცებულმა დაუფარავად უამბო ჩადენილი ყოველი ბოროტმოქმედება, – ოთხმოცდაცხრამეტი ადამიანის მოკვლა და შეევედრა: – შენდობა მიბძანე, მაპატიე მე, ცოდვილს.

მღვდელთაფარი გაურისხდა. უთხრა: – ვერ შეგინდობ და ვერც ვიშუამდგომლებ ღვთის წინაშე, რომ 99 კაცის მკვლელს გაპატიოს! როგორ შეიძლება, მე რომ კიდევ გავბედო შენდობის თქმა, ღმერთი არ გაპატიებს, მე დამსჯის.

გაკვირდა ავაზაკი. მას ვერ წარმოედგინა, თუ ცოდვილმა მოინანიოს, სთქვას აღსარება, სთხოვოს შენდობა, პატიება ცოდვების და არ შეუნდონ. მრავლათ შეაძლია ფული მღვდელთაფარს. არ გასჭრა ამ საშვალებამ. ვერ მოუღობო ფული მოძღვარს. აღელდა, სისხლის სმის ფინი გაუახლდა. დეემუქრა მოძღვარს: – შენც მოკვლავ, თუ არ შემიწოდებ, რომ მოვიხმინო.

შეეშინდა მოძღვარს. მისი რწმენით, ასეთი ავაზაკი არ არის ღირსი შენდობის, მიტევა და, კიდევ რომ მან შეუნდოს, ღმერთი მაინც დასჯის მას.

მამ რითი მოიშოროს ეს ავაზაკი, რაფერ გადურჩეს მას მუქარისაგან? – გამოიხანა შემდეგი საშვალება: იქვე, კუთხეში, ყოველდღიური სახმარ სადა არგანს! შეაღწო თვალი, აილო ხელში და მოხუც ავაზაკს მიმართა: აი, ძმაო (რას ბძანებს ღმერთი: რადგან ეგდენ მრავალი ხალხი მოგიკლავს, მათი და მათი ცოდვების ცოდვა კისერზე განევს, არ მოგეტევა ცოდვა, სანამ შენ თვით არ მოინდომებ. აი, ხომ ხედავ, ამ გამხმარ არგანს. ნაილე ეს, დარგე იმ სასაფლაოზე, სადაც მარხიან რამდენიმე მინც შენგან მოკლულნი, უღანაშაულნი... იქ, ამ დარგულ ჯოხთან

1 არგანი - გრძელი საბჯენი ჯოხი

მატიანა



საერთაშორისო დიდოსტატი **ედუარდ გუფელი** სტუმრად ახალციხეში თვითნასწავლი მხატვრის („მესხი ფიროსმანის“) **მიხეილ იაძის** ნახატების გამოფენაზე 1987 წელს (მარჯვნივ **შალვა ტაბატაძე**, ზურაბ იაძე). სურათი მოგვანოდა მხატვრის ვაჟმა **ზურაბ იაძემ**.

მის-მხატვრობა

ძველ ხალხს წაგომ ჰქონდა ოფა-ბოსლები ეწითად

ოფა-ბოსელი მაშინ იყო სიტბოს გული-ზა. ოჯახში რო სიტბო ჰქონდა, ოდები იყო სპეციალურად. სხვანაირი ოდებიც იყო, დარბაზული ოდები. მინაში აკეთებდა ძველი ხალხი ოდებს ძალიან განიერი კედლით. მაშინ „ფეჩი“ არ იყო, ბუხრები იყო. იქ, ბუხარში, ჩამოდებდნენ დიდ მორსა, ვისაც ჰქონდა მორის საშუალება, ის ბუფტავდა და გამოსცემდა შუქსაც და სიტბოსაც და იყო შემდეგ წიგა, პირუტყვის ნაკელი რაა. იმას ახმობდა ხალხი და წვავდა. სიცვიც რო არ ყოფილიყო, ესეთნაირად იმიტომ იყო მიბმული ეს ბოსელი. ჩემს ბავშვობაში მეც მოვსწრებივარ ასეთ სახლებს. წინ, შესასვლელში, ყოფილა ბოსელი და იმის იქით, მინურისკენ, მინაში გამოშენებული. პირადად ჩემი სახლი, მე სადაც დავიბადე, გავიზარდე, ზუსტად ასე იყო. წინ იყო ბოსელი და იქით გამოთხრილი იდგა

ოდა, რო იქ სიტბო დაგროვილიყო საქონლის სიტბოთი და კარებებსაც არ ხურავდნენ ეს ხალხი, იმიტომ რომ იქ სიტბო შემოსულიყო. ფარდა იყო ჩამოფარებული, ან დაბალი კარები, რო სიტბო შემოსულიყო. გვექონდა უსანდრები. უსანდრა იყო საქვევებისა, დაბალი და ცოტა მაღლა ანუული, ერთი ორმოცდაათ სანტიმეტრზე. ბევრს ჰქონდა ოდებში გამოშენებული, კედელში ხის კარები. იმაში შელაგებდნენ ამ ლოგინსა და იქ ჰქონდათ შენახული. გარეთ დახურავდნენ, ფარდას ჩამოაფარებდნენ. სტუმარი და ოჯახის პატრონი ერთად იძინებდა, თუმცა სხვა სასტუმრო დარბაზიც ჰქონდათ, რამოდენიმე ოჯახს, ვისაც რო შეძლება ჰქონია. მაგალითად – ორი ძმა ყოფილან და შემდეგ ერთი ძმა სხვაგან წასულა, ორი ყოფილან და ესეთი რალაცა იყო. ყოფილა ეგრეთი რალაც, რო სტუმარს სხვა

ოდაში აძინებდნენ, თვითონ სხვა ოდაში, მარა, მაინცდამაინც ისეთი კავშირი ჰქონდა, რო სიტბოს გამო ორივე ოდას საპირისპირო დარბაზებით ჰქონდათ კავშირი ბოსელთან და იყო სხვა დარბაზებიც, ასევე საცივო დარბაზებიც. იმას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ბოსლებთან, პირუტყვთან, იმიტომ, რომ იქ სიტბო არ შესულიყო, იმიტომ, რომ შესანახი პროდუქტი არ გაფუჭებოდათ – ერბო, ყველი. იმათ აკეთებდნენ უფრო გერმეტიულად და მხოლოდ და მხოლოდ ბანები ჰქონდათ ზემოდან. მთქმელი **ლევან ბერიძე**, 55 წლის, სოფელი ჩუნჩხა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი. ჩაინერა **თაა თოთაძე** 2016 წელს

ეთნოგრაფია

სოფელ ხიზაბავრაში ბავშვები მრავალი თამაშობებით ვერთობოდით. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თამაში იყო „ქვაკრიანა“. როცა გადავწყვეტიდით, რომ გვეთამაშა ქვაკრიანა, ამოვარჩევდით ვინრო და გრძელ ქვებს, თითოეული ქვის სიგრძე, საშუალოდ, 25-35 სანტიმეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. მეტრანახევრის შუალედით 3 ქვას სი-

მალეზე დავაყენებდით, მეორე მხარეს, 10-15 მეტრის მანძილზე, იგივე შუალედით, ასევე 3 ქვას დავაყენებდით სიმაღლეზე. შემდეგ წილს ვყრიდით. ერთი ბიჭი იტყოდა; „არჩევანი მე“, მეორე – „არადანი მე“. ამის შემდეგ გაიყოფოდნენ ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 3 ბიჭი იყო. მოთამაშეები პატარა ქვებს რიგ-რიგობით ისროდნენ

გუნდის წევრები და გაეტარებინათ ამ ქვებს შორის. ამ თამაშს ახლდა მხიარული შეძახილები, ეს პროცესი ერთგვარი ფივილ-ხივილის და ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა. ქვაკრიანას ძირითადად სოფლის ბოლოს, სამენახირეოზე ვთამაშობდით ხოლმე, ვიდრე ნახირი არ ჩამოვივლიდა.

ქვაკრიანა

„ტანტრა-ჩილიკ“ (წიგნაკრები - მწიგნობა)

სოფელ ხიზაბავრაში რიკ-ტაფელას „ტანტრა-ჩილიკს“ ვეძახებდით, კი საქართველოს ზოგიერთ მხარეში ამ თამაშს „რიკაობას“ ეძახიან. ჩილიკი გამოჭრილი იყო ხის ჯოხისაგან, მისი სიგრძე 20-22 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო.

ტაფელა („ტანტრა“) უფრო გრძელი იყო, დაახლოებით 80-90 სმ. ამ თამაშის წესი შემდეგი იყო: ჯოხით შემოიხაზებოდა წრეხაზი, კენჭის ყრის შემდეგ წრეში ჩადებოდა ერთი მოთამაშე, იგი ჩილიკს გაჰკრავდა და შორს გაისროდა. მეორე მოთამაშე ჩილიკს ხელით

უკან ისროდა, რომელიც წრეში უნდა ჩაეგდო, წრეხაზისკენ ნასროლი ჩილიკისათვის ჰაერში უნდა დაეხვედრებინა ტაფელი და უნდა გაეკრა ხელმეორედ. ჩილიკს თუ ჩააგდებდა წრეში, მაშინ მეორე მოთამაშეს უნდა გაეკრა. გამარჯვებული იყო ის, ვინც ბევრჯერ გაჰკრავდა ჩილიკს და წრეში ვერ ჩაუგდებდნენ. მთხრობელი **ლევან ხუციშვილი** 85 წლის, ჩაინერა **კარლო ხუციშვილმა**, 2008 წელს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია **ლიანა მანჩხაშვილი**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **WWW.SCFI.CO**; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ლაგოქანაბლები:

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასაინქის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.mshti@gmail.com, lit_meskheti@yahoo.com

თოქლონი

ბადელაზე გადმოიარა ურჯულთა დიდმა ჯარმა, ჯერ თოფები ააყევს, ხმაც გაიღო ბასრმა ხმალმა, ველ-მინდორი აახრჩოლეს, ცა ანთლა ცეცხლის ალმა.

ხვანას წავედით სათიბში, – კაი სამუშაო დღე არი, თავზე დაგვადგნენ თათრები, ინყეს ხანჯლების ტრიალი, ჩვენ ხო ყოჩაღად დავუხვდით, დედა ვუტირეთ ტიალი!

წულარ ტირიხარ, დედიჯან, ხვანელი ჩვენკენ არიან, წინ წაუძლევები ვაჟკაცებს, თითო ქვეყნისა თვალია, ურჯულთ ფიცხლად შევუტევთ, – დავაყრევინოთ თავია.

თათარო, როდი შეგარჩენ ჯავრს გიორგისი, ძმისასა, ისე გაგიხდი საქმესა, ლოკამდე მინა-ქვიშასა.

სტეფანეი შეჯდა ცხენზედა ვაჟკაცი, ნაომარია, თან ნაიყვანა ანტონაი, ალესილი აქეს ხმალია, წინ შეეყარნენ თათრებსა, ცხრაპირ გააძრეს ტყავია, დიდხანს იომეს, იქამდინ, მინამ უჭრიდათ თვალია, გამთენისას დაბრუნდნენ, თვითონაც ნახანჯლარია.

კაცნო, წუ ნახვალთ ბადელას, გზა ვინრო, ლელიანია, აქა-იქ ჰყრიან თათრები სულ ყველა ხმლებიანი, თუ ნახვალთ, ვერ დაბრუნდებით, დღე დავიდგებათ ბნელია.

მესხი ბიჭი ვარ, ვაჟკაცი, მთაში, ზეკარზე გაზრდილი, ალალი მწყემსი, მშრომელი, ბრძოლაშიც შეუდრეკელი. სამშობლოს მოსიყვარულე, ოჯახის დაუთმობელი.

ხვანელი ომსა ნატრობდნენ, ერთად ვართ ცხრანი ძმანია, წინ წაუძლევებით ლაშქარსა, რომ ვისახელოთ თავია. ერდოებიდან გვიცქერდნენ შავთვალა ქალთა ჯარია, ბევრ მათგანს მოვეწონებოთ, დაავინყდებათ ქმარია!

დედის ნაცვრა

მინდა, რომ იყო ვაჟკაცი, ცხრათვალა მზისა დარია, მოყვრის გამხარე, მტრის მგმობი, ერთგული, განა ფლიდია, ხმალსა ხმარობდებ ხელმარჯვედ, მტერს ჰქონდეს შენი რიდია, ქვეყანას შენი იმედი, მომლხენი, სუფრა დიდია, ასე ამბობდნენ საქვეყნოდ: – კაი დედის გამოზრდილია!

მთქმელი ოსიკო (იოსებ) გიქოშვილი, ახალციხე, სოფელი იმლიტა, 84 წლის, ჩაინერა სოსო გიქოშვილმა 2018 წელს